

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონის მიღების მიზეზი:

ცვლილების შეტანის მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, შენარჩუნება, დაბინძურებისას შესაბამისი ზომების მიღება საქართველოს საზღვაო სივრცეში ბიორესურსების მოპოვებისა და სამეცნიერო კვლევების ჩატარების წესების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს გარემოს დაცვის ინსპექცია. აქედან გამომდინარე, სასაზღვრო პოლიციას თავიანთი საქმიანობის ძირითად მიმართულებად და ამოცანად აღნიშნულის შესახებ კონტროლის დაწესება არ უნდა განესაზღვროს. სასაზღვრო პოლიციას შეიძლება დაევალოს რომ იყოს ინფორმატორი დაფიქსირებული ფაქტების მიმართ. ეს თავის მხრივ გამოიწვევს იმას, რომ რეგულირების ობიექტების მიმართ მკაცრად იქნება განსაზღვრული და გამიჯნული მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობა და უფლებამოვალეობები. არ იქნება დაუბლირება რეგულირების ობიექტების მიმართ მოთხოვნებისადმი სასაზღვრო პოლიციისაგან და გარემოს დაცვის ინსპექციისაგან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

რეგულირების ობიექტები გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ ხშირად თევზჭერასთან დაკავშირებით მაკონტროლებელ ორგანოებსა და რეგულირების ობიექტებს შორის ხდება უთანხმოებანი, რაც გამოწვეულია გაორებული კონტროლით ანუ მაკონტროლებელთა შორის ცალსახად არაა განსაზღვრული თავიანთი უფლებები და მოვალეობები და ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მაკონტროლებელ სამსახურს უწევს ერთი და იგივე საკითხზე რეგულირების ობიექტის შემოწმება, რაც თავის მხრივ, როგორც ავლნიშნეთ, არის უკმაყოფილების საფუძველი და მისი დარეგულირება საჭიროა და აუცილებელიც. თავის მხრივ ასეთი ქმედებები უფრო მეტად გახდის შესაძლებელს გაირკვეს, თუ რომელი სამსახური როგორ მუშაობს და ამასთან მოწესრიგდება კანონდარღვევათა აღრიცხვიანობა და მისი ანალიზი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

ცვლილების მიღების არსი მდგომარეობს იმაში, რომ აღარ იქნება ურთიერთგადაბრალებები მაკონტროლებელ სამსახურების მიერ. მაკონტროლებელ ორგანოებსა და რეგულირების ობიექტებს შორის გაიმიჯნება და დარეგულირდება ურთიერთ უფლება-მოვალეობები. აღარ იქნება გაუგებრობები და უფრო მეტად იქნება დაცული გარემო და ბუნებრივი რესურსები.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი დაფინანსების წყარო

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე
კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი, არ გავრცელდება ფინანსური ზეგავლენა.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან. პირიქით, გარკვეულწილად შესაბამისობაში მოდის შავი ზღვის ქვეყნების კონვენციასთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:
კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩატარდა კონსულტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრი მირიან ნუმანიშვილი და კომიტეტის აპარატის უფროსი ნოდარ ირემიძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.